თანამემამულეთა მატჩი

ამგვარი მატჩები საკმაო იშვიათობაა. გუშინდელ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ ქართული ფეხბურთის ორი საუკეთესო წარმომადგენელი დადგა. რა თქმა უნდა, ჩემპიონს უფრო მეტი შესაძლებლობები და უფრო მეტი უფლებაც ჰქონდა გამარჯვებისათვის, მაგრამ გავიდა პირველი ოცი წუთი და "დინამოს" რაიმე ხელშესახები უპირატესობა ვერა და ვერ გამოიკვეთა. ეტყობა, "სახლიკაცებთან" თამაში ბევრი ვერაფერი გამღიზიანებელი გამოდგა. სამაგიეროდ, მთელი ძალით თამაშის მეტი სტიმული ჰქონდა "ტორპედოს". ქუთაისლებმა მოინდომეს კიდეც და ერთხანს ამ მონდომებამ შედეგიც გამოიღო – როგორც უკვე ვთქვით, მატჩი კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

მერე ყველაფერი თავისი რიგით წავიდა. "დინამომ" ფლანგებიდან ერთფეროვან ჩაწოდებებსაც თავი ანება (ეს გადაცემები, როგორც წესი, ქუთაისელთა მცველების ან მეკარე მჭედლიძის "ლუკმა" ხდებოდა), ტემპსაც მოუმატა და თამაშის სადავეებიც მის ხელთ აღმოჩნდა. გრძელმა და რაც მთავარია, ზუსტმა გადაცემებმა თანდათან გაანელა ტორპედოელთა ენთუზიაზმი, თამაშმა, ასე ვთქვათ, აკადემიური სახე მიიღო. აქ კი მასპინძლები მეტოქეზე მთელი თავით მაღლა აღმოჩნდნენ. ქუთაისელთა ნახევარდაცვა იძულებული გახდა დაცვით ფუნქციებს დაყაბულებოდა, საკმაო ხარვეზი იყო გრძელ გადაცემებშიც და "ტორპედოს" ფორვარდები მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ. ასეთ სიტუაციაში შეუძლებელი გამოდგა შეტევის ორგანიზება, სამწუხაროდ ვერც კონტრიერიშებს მოედგა თავი. თუმცა გასაკვირიც არაფერია – წლეულს "ტორპედოს" ახალი ფეხბურთელები დაემატნენ და, რა თქმა უნდა, რომ კოლექტივი ჯერ მხოლოდ ეძებს "საკუთარ თამაშს".

35–ე წუთზე დარასელიამ შორიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა – 1:0.

ამის შემდეგ ქუთაისელთა კართან ხშირია საგოლე მომენტები. ორი მათგანი გოლით დასრულდა. 55–ე წუთზე გ. მაჩაიძემ და 76–ე წუთზე გუცაევმა სამამდე გაზარდეს ანგარიში. "ტორპედოს" ორჯერ მიეცა ხელსაყრელი შესაძლებლობა და ორჯერვე სულ ცოტა დააკლდა მიზნამდე. საერთოდ კი, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს სათასე ტურნირი ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მშვენივრად ჩაატარეს.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: თბილისის "დინამო" – გაბელია (მამინაშვილი), კოსტავა (ხიზანიშვილი), კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე (დურდიაძე), ქორიძე, გუცაევი, სულაქველიძე, შენგელია; ქუთაისის "ტორპედო" – მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ებანოიძე (გაბიჩვაძე), სვანაძე, ბაზაზაშვილი, წერეთელი. მატჩს სჯიდა მოსკოველი ვ. ბასკაკოვი. გაფრთხილებულია ვ. გუცაევი.

გ. ირემაძე.

"ლელო", 10 მარტი, 1979 წ.